ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხალხური შემოქმედების შენარჩუნებასა და განვითარებაში, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიებასა და პოპულარიზაციაში. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. განხორციელდება შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, ანსამბლის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მოხდება მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.		
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 02		129,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	თელავის #1 სამუსიკო სკოლაში სწავლობს 130 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 03		107,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 110 მოსწავლე, შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაცია და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 04		103,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა		

ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სწავლობს 98 მოსწავლე, ისწავლება შემდეგ საგნები: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატო საგნების მოძიება-შეგროვება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე, ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ტარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.
ქვეპროგრამის მიზანი	სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 05		345,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”		
ქვეპროგრამის აღწერა	საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს: საბიბლიოთეკო ფონდების შევსებას ახალი ლიტერატურით, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოებას, საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ფონდების ხელმისაწვდომობას, წიგნადი ფონდის დაცვის უზრუნველყოფას. საბიბლიოთეკო მანვენებლების სტატისტიკის წარმოებას და მონაცემთა ბაზის შექმნას. საცნობარო აპარატის სრულყოფას, ელექტრონული კატალოგის და არსებული საბარათო კატალოგის შევსებას ახალი ბარათებით. ჟურნალ-გაზეთების სტატიების და თემატური კარტოტეკების შევსებას ახალი მასალებით. ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატის უზრუნველყოფა. მოქალაქეთა მომსახურებას ფონდებით, კატალოგებით, კარტოტეკებით, კომპიუტერით და ინტერნეტით. მომხმარებელთა ინტერესების შესწავლა და მათი ოპერატიულად დაკმაყოფილება. საბიბლიოთეკო მუშაკთა სპეციალური სემინარების და ტრენინგების ჩატარებას.		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 06		1105,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლების მემკვიდრეობით, ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ - ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული და ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება/განხორციელება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული სამეზობლო კოლექტივების ხელშეწყობა (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება და სხვა); მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 08		80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ბავშვების გართობას ატრაქციონებით, ხორციელდება სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება/ განახლება, მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა.		
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“ ფუნქციონირებს შეუფერხებლად. დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის საშუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
-------------------------	------	--	---

	05 02 01 09		64,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სწავლობს 63 მოსწავლე სხვადასხვა განყოფილებებზე. ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ფანდური) განყოფილებები. მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 10		119,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სწავლობს 104 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ფოლკლორი, გალობა; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, სოფ. ბუშეტის, სოფ. ქვემო ხოდაშნის და სოფ. წინანდლის მოსწავლეებს.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 11		60,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორგესტრო, საესტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 54 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 02		236.32
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ელენე ახვლედიანის სახელობის თელავის სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ქ. თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია; სოფელ ვარდისუბნის კულტურის სახლის შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 03		134,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა). განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა ხელშეწყობა; თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის წარჩინებული ისტორიული მემკვიდრეობით დაინტერესებული მოსწავლეების გონივრულ აღსარის მუზეუმ ნაკრძალში არქეოლოგიის კურსის გავლას, კურსი მოიცავს არქეოლოგიის შესახებ თეორიული ცოდნის და პრაქტიკული სამუშაოების მიღებას აგრეთვე აჭარაში მდებარე 7 მუზეუმის მონახულებას და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ მემკვიდრეობით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03		78,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას; ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდობისათვის; სამაგიდო თამაშების ღონისძიება და სხვა.		
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03 01		78,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას; ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდობისათვის; სამაგიდო თამაშების ღონისძიება და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 04		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ძველთა დაცვის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 05		124,19
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე. დაგეგმილია სოფ. კისისხევის გამოქვაბულების სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, სამუშაოების განხორციელება, დაბანების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, ფოტოაპარატის და მისი აქსესუარების შესყიდვა და სხვა.		
პროგრამის მიზანი	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და		

პროგრამის დასახლება	კოდი	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 06		666,77
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში კავკასიონის ქუჩის მიმდებარედ სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, ენერგოეფექტური სკამების შექმნა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსება/მონტაჟი. ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე (მაწანარის სკვერის) რეაბილიტაციის, სოფელ რუისპირში დასასვენებელი სივრცის მოწყობა/რეაბილიტაციის და უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მინი-სტადიონთან სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და სხვა.		
პროგრამის მიზანი	პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3741.80	0.00	3741.80
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	404.60	0.00	404.60
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	175.00	0.00	175.00
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	229.60	0.00	229.60
06 02	სოციალური დაცვა	3322.20	0.00	3,322.20
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	36.00	0.00	36.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	307.85	0.00	307.85
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	5.40	0.00	5.40
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	302.45	0.00	302.45
06 02 03	უმწევოთა უფასო სასადილო დაფინანსება	1007.00	0.00	1007.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.59	0.00	230.59
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	2.00	0.00	2.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	123.00	0.00	123.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	100.00	0.00	100.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	65.00	0.00	65.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1241.36	0.00	1241.36

დასასაწყისო პროგრამები				
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	182.00	0.00	182.00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	15.00	0.00	15.00

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01		404.60
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 01		175,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „C“ კეპატივის სკრინინგის განხორციელება, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 02		229.60
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მოწესრიგება, რეაბილიტაცია. განხორციელდება სოფ. ლეჩურში ახალი ამბულატორიის მოწყობა, განხორციელდება სოფ. ართანაში, 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი ამბულატორიის მოწყობის სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება და სხვა ღონისძიებები.		
ქვეპროგრამის მიზანი	ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
----------------------	------	-----------------	--------------------------------------

	06 02		3322,20
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას; - სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას; - ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით უზრუნველყოფა. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს 		
პროგრამის მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 01		36,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად.		
ქვეპროგრამის მიზანი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შუამდგომლობის სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 01		5,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 02		302,45
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) სუბსიდირება, თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით. დაფინანსება მოხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია მატერიალური დახმარებით.		

		2023 წლის დაფინანსება
--	--	------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უმწეოთათვის უფასო სასაბიჯო დაფინანსება	(ათას ლარებში)
	06 02 03		1007,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	თელავში მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად გაჭირვებული ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მართლაც ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შპმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მართლაც შობილები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის“ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“.		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფილი პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 04		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამანბლო-აფხაზეთი), დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 05		230,59
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე დაფინანსდება არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე - არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში - არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ან/და ფაქტობრივად ცხოვრობენ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფას წელიწადში ერთჯერადად.		
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების გაწევა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საზოგადოება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 06		2,0
ქვეპროგრამის			

განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა	ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის მიზანი	ვეტერანთა თანადგომა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 07		123,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:</p> <p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, უდემამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.</p> <p>გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამით, რომლითაც ისარგებლებენ მუნიციპალიტეტის სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, პანტინი, სეროდანი, ნადიკვარი) მუდმივად მცხოვრები ოჯახები ყოველთვიურად.</p> <p>აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერჯის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა, თხევადი აირით დახმარება, მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 08		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უფარგის ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებლე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 09		65.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, უდემამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, შშ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღირსებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 10		1241,36
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარების დაფინანსებას ლიმიტირებული თანხის ფარგლებში, რომლის ოდენობა შეადგენს 1800 ლარს. ლიმიტის გამოყენება შესაძლებელია საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში რამდენჯერმე, სხვადასხვა სახის სამედიცინო (სტაციონარული, ოპერაციული ან/და ამბულატორიული) მომსახურების, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ან/და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დასაფინანსებლად; პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს; თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული: მარტოხელა მშობლები; 18 წლამდე ასაკის ბავშვები; მარტოხელა მშობლები; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; იძულებით გადაადგილებული პირები; 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები; ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 300 ლარით; პროგრამა ითვალისწინებს, სტაციონარული, ამბულატორიული და სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსებას, გარდა სტრუქტურული მომსახურებისა, თანადაფინანსებას მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტობრივად საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლები, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, მარტოხელა მშობლები, იძულებით გადაადგილებული პირები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ქვეპროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ სამიზნე ჯგუფს, მაგრამ განიცდიან ეკონომიკურ გაჭირვებას, საჭიროებენ დახმარებას და პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 1500 ლარს. ასეთი კატეგორიის ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია. დაფინანსება განხორციელდეს პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 80%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით; ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტრუქტურული მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/ დაფინანსებით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 11		182,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ეგო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა. საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება; მკურნალობის დაფინანსება სმენადაქვეითებული ბავშვების ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში სმენისა და მეტყველების გაუმჯობესებისათვის, ასევე აუტისტური სპექტრის, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ქვევის დარღვევის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან სოციალური კომპეტენციის, ემოციური ბალანსის, სხეულის აღქმის, კონცენტრაციის უნარის, ენისა და მეტყველების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად ნორდოფ-რობინსის მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკის საშუალებით ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, უნარების განვითარებას, ქვევის მართვას, ემოციური რეგულაციების გაუმჯობესებას; თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის (18 წლამდე) ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება; მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის პიგიურული და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსება; ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სმენადაქვეითებული/კონრეალური იმპლანტის მომხმარებელთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	აღნიშნული კატეგორიის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის	კოდი	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
--------------	------	--------------------------------------

16 EREKLE II STR. 2200, TELAVI, GEORGIA TEL: 0(350)273900,
E-MAIL:TELAVIMUNICIPALITYCOUNCIL@GMAIL.COM

დასახელება	06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მატერიალური დახმარება		

